ცნობა

დავით ბაქრაძე დაიბადა 1975 წლის 30 დეკემბერს, ქ. თბილისში.

1997 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით, ხოლო 2001 წელს კი - სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

1990 წელს მოსწავლეთა გაცვლის პროგრამით იმყოფებოდა აშშ - ის კოლორადოს შტატის საზაფხულო სკოლაში.

1995 წელს მუშაობა დაიწყო სადაზღვევო კომპანია „ალდაგში".

1996 წლის იანვრიდან ივნისამდე იყო საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სამსახურის ჟურნალისტი .

1996-2002 წლებში მუშაობდა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში სხვადასხვა თანამდებობებზე: საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის კონსულტანტად, ადამიანის უფლებათა დაცვის სამსახურის რეფერენტად და შემდეგ, სამართალდაცვის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის რეფერენტად.

2002-2004 წლებში იყო შვეიცარიის კონფედერაციასა და წმინდა საყდართან საქართველოს საელჩოს - ჟენევაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის მრჩეველი, ხოლო შემდეგ - საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი.

2004-2005 წლებში იყო შვეიცარიის კონფედერაციაში საქართველოს საელჩოს და ჟენევაში გაეროს განყოფილებასა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი.

2006-2008 წლებში მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის პირველი ევროპული სამმართველოს უფროსად.

2008-2010 წლებში იყო შვედეთის სამეფოსა და ფინეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი, ხოლო 2010-2011 წლებში - შვედეთის სამეფოში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი (საქმეთა დროებითი რწმუნებული ფინეთის რესპუბლიკაში, ადგილმდებარეობით ქ.ჰელსინკი).

2011 წლის ივლისიდან 2012 წლის იანვრამდე იყო ფინეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი, ამასთანავე ფინეთის რესპუბ-ლიკაში საქართველოს საელჩოში საქმეთა დროებითი რწმუნებული.

2012 წლის მარტიდან 2014 წლის 14 ნოემბრამდე იყო საბერძნეთისა და სერბეთის რესპუბლიკებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

2014 წლის 14 ნოემბერს დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მინისტრად ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკით-ხებში.

2014 წელს მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.